ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ბაღდათი 1 ნოემბერი 2023 წ.

პრეამბულა

წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ფორმდება პროექტ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიზნეს განვითარების და ტურიზმის მომსახურების ცენტრის ბაზაზე ღვინის ლაბორატორიის მოწყობა“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL) პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.

ზოგადი ნაწილი

ერთის მხრივ სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია, ს/კ 225064471, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის კახა ენუქიძის სახით, და მეორეს მხრივ შპს იმერული ღვინის ასოციაცია, ს/კ 400315155, წარმოდგენილი ქეთევან ჯურხაძის სახით; სსიპ კოლეჯი იბერია, ს/კ 212682051, წარმოდგენილი ირაკლი ავალიანის სახით, თანხმდებიან, წინამდებარე მემორანდუმზე რომლის მიზანია მხარეთა საერთო ინტერესების სფეროში შემავალი აქტუალურ საკითხებზე კოალიციური თანამშრომლობა, მუნიციპალიტეტში და რეგიონში ღვინის მწარმოებლების განვითარების ხელშეწყობა, მეღვინეობის დარგში დეფიციტური-ღვინის ლაბორატორიის სერვისების შექმნა - მიწოდება, იმერული მეღვინეობის განვითარება, იმერული ღვინის პოპულარიზაცია, იმერული ღვინის ხარისხის ზრდა.

2. პროექტის ზოგადი მიმოხილვა

პროექტის მიზანია, უზრუნველყოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიზნეს განვითარების და ტურიზმის მომსახურების ცენტრში ღვინის ლაბორატორიის მოწყობას და აღჭურვა. მუნიციპალიტეტსა და რეგიონში მაღალი ხარისხის ღვინის წარმოების ხელშეწყობა და ღვინის მწარმოებელთა შემოსავლების ზრდის მხარდაჭერა დარგის განმავითარებელი სერვისების მიწოდებით

3. თანამშრომლობა მხარეებს შორის მოიცავს

3.1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია

თავის ძალისხმევას წარმართავს „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიზნეს განვითარების და ტურიზმის მომსახურების ცენტრის ბაზაზე ღვინის ლაბორატორიის მოწყობა“ პროექტის მართვის, კოორდინაციისა და განვითარებისთვის, რათა უზრუნველყოს ადგილობრივი ღვინის მწარმოებლებისთვის დეფიციტური სერვისების ჯეროვნად მიწოდება და მზადაა ვალდებულება იკისროს შემდეგზე:

3.1.1. უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ს/კ 30.03.31.223 ქონებაზე „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიზნეს განვითარების და ტურიზმის მომსახურების ცენტრის ბაზაზე ღვინის ლაბორატორიის მოწყობა“ პროექტის განხორციელებისთვის სათანადო ფართის გამოყოფა;

3.1.2. უზრუნველყოს პროექტის თანადაფინანსების თანხის 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინება;

3.1.3. გამართოს საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან, ადგილობრივი ღვინის გილდიისა და საოჯახო მარნების წარმომადგენლებთან;

3.1.4. უზრუნველყოს პროექტის კონცეფციის შემუშავების პროცესის წარმართვა, იმერული ღვინის ასოციაციასთან და კოლეჯ იბერიასთან კოლაბორაციით, სრული განაცხადის წარდგენა;

(CESL) პროგრამის დაფინანსების შემდგომ

3.1.5. უზრუნველყოს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ლაბორატორიის მოსაწყობად განკუთვნილი ფართზე საადაპტაციო სამუშაოების განხორციელება;

3.1.6. უზრუნველყოს ლაბორატორიის აღჭურვა-მონტაჟის სამუშაოების შესყიდვა, მიღება-ჩაბარება.

3.1.7. უზრუნველყოს ლაბორატორიის მართვის წესის და მომსახურების ზღვრული ტარიფის დადგენა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

3.1.8. უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაში ს/კ30.03.31.223 მეღვინეობის განვითარების ხელშემწყობი სერვისების მიწოდებისთვის გამოყოფილი ფართის და აღჭურვილი ლაბორატორიის, იმერული ღვინის ასოციაციისთვის, პირობით მართვა-სარგებლობაში გადაცემა;

3.1.9. უზრუნველყოს პროექტის პრეზენტაცია იმერულ ღვინის ასოციაციასა და კოლეჯ იბერიასთან პარტნიორობით;

3.1.10. განახორციელოს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და პერიოდული საკონტროლო ქმედებები ;

3.1.11. 3.1.10 პუნქტით გათვალისწინებული ქმედებები განახორციელოს ისე, რომ ხელი არ შეუშალოს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში;

3.1.12 მემორანდუმით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბაღდათის მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას დაუყოვნებლივ იქნას შეწყვეტილი წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

3.2 იმერული ღვინის ასოციაცია,

წარმოადგენს ინტერნ მუნიციპალურ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს) რომელიც დაფუძნებულია ინტერ მუნიციპალური ა(ა)იპ იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის მიერ(ს/კ 412722914), საქმიანობის სფერო და მიზანია იმერული ღვინის ხარისხზე ზრუნვა, მზადაა ვალდებულება იკისროს შემდეგზე:

3.2.1. როგორც კოალიციის წევრი ჩაერთოს პროექტის კონცეფციის შემუშავების პროცესში;

(CESL) პროგრამის დაფინანსების შემდეგ

3.2.2. უზრუნველყოს მენეჯმენტის გეგმის გაწერა, პერსონალთა რაოდენობის, ფუნქციური როლის, სამუშაო აღწერილობების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენა;

3.2.3. უზრუნველყოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად პერსონალის შერჩევა-გადამზადება;

3.2.4. უზრუნველყოს ლაბორატორიის მართვა-ოპერირებისთვის, მათ შორის რეაგენტების შესაძენად თანხების მობილიზება;

3.2.5. კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრული ვადით მართვა-სარგებლობაში მიიღოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაში ს/კ30.03.31.223 ღვინის ლაბორატორიის სერვისების მიწოდებისთვის გამოყოფილი ფართი და აღჭურვილი ლაბორატორია, საკუთარი ხარჯებით მოახდინოს სარგებლობის უფლების ხელშეკრულების რეგისტრაცია შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში ;

3.2.6. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ბაღდათის მუნიციპალიტეტისგან მართვა-სარგებლობაში მიღებული ქონების მოვლა პატრონობა, მდგრადობის შენარჩუნება და ოპერირებისთვის აუცილებელი (მათ შორის კომუნალური ხარჯები) ფინანსური დანახარჯების დაფარვა;

3.2.7. უზრუნველყოს აკრედიტაციის ცენტრში აკრედიტაციის პროცესის დაწყება და მართვა-ოპერირებაში გადაცემიდან არაუგვიანეს 1 წლის ბოლოს - საქართველოს შიდა ბაზრის მოთხოვნების შესაბამისობის შეფასების ღონისძიებების განმახორციელებლის აკრედიტაცია, ხოლო არაუგვიანეს 2 წლის ბოლოს, საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნების შესაბამისობის შეფასების ღონისძიებების განმახორციელებლის აკრედიტაცია, საგამოცდო და საკალიბრებელი ლაბორატორიებისათვის ISO/IEC 17025 სტანდარტის შესაბამისად;

3.2.8. უზრუნველყოს მეღვინეების მოზიდვა-მობილიზებას სხვადასხვა საშუალებებით, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებულ ღვინის მწარმოებლებთან პერმანენტული შეხვედრების ორგანიზება, ლაბორატორიის სერვისებისა და შეთავაზებების გაცნობა;

- სარეკლამო-საინფორმაციო კამპანიების წარმოება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით, მათ შორის ტელევიზიებით, ბეჭდური და სოციალური მედიის საშუალებებით;

- ლაბორატორიის სერვისების შეღავათიანი პაკეტების შეთავაზება.

3.2.9. უზრუნველყოს ღვინის ლაბორატორიული სერვისის უწყვეტად და შეუფერხებლად მიწოდება ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი ზღვრული ტარიფის ფარგლებში;

3.2.10. უზრუნველყოს ლაბორატორიული კვლევების შესაბამისად საკონსულტაციო სერვისის უწყვეტად და შეუფერხებლად მიწოდება;

3.2.11. ხელი შეუწყოს მეღვინეობის მიმართულებით, კოლეჯ იბერიას საგანმანათლებლო პროგრამების და საკვალიფიკაციო კურსების პრაქტიკული კურსის უწყვეტად და შეუფერხებლად განხორციელებას;

3.2.12. უზრუნველყოს ლაბორატორიის საქართველოს და საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნების შესაბამისობის შეფასების ღონისძიებების განმახორციელებლის აკრედიტაციის ციკლის უწყვეტობა;

3.2.13. უზრუნველყოს ღვინის გამოფენა-კონკურსების, ტრენინგების ორგანიზება - ჩატარება ბაღდათის მუნიციპალიტეტში;

3.2.14. პოპულარიზაცია გაუწიოს იმერული ღვინის მწარმოებლებს ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ სხვადასხვა ღონისძიებებში (კონკურსები, ფესტივალები, შეჯიბრებები და სხვა კულტურული ხასიათის ღონისძიებები);

3.2.15. უზრუნველყოს ყოველწლიური ანგარიშებისა და მართვა-სარგებლობის პირობის შესაბამისი აუდიტის დასკვნების კოალიციის წევრთათვის წარმოდგენა.

3.3.კოლეჯი იბერია,

ავტორიზებული სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება, როგორც ერთ–ერთი დაინტერესებული მხარე, რომელიც მუდმივად მხარს უჭერს რეგიონში და მუნიციპალიტეტში ბიზნეს უნარების განვითარებას და სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებას, პროფესიული გადამზადების პროგრამებისა და საკვალიფიკაციო კურსების მეშვეობით, მათ შორის მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით, იღებს ვალდებულებას განახორციელოს ქმედებები იმერული ღვინის ხარისხის ზრდისთვის კერძოდ:

3.3.1. როგორც კოალიციის წევრი ჩაერთოს პროექტის კონცეფციის შემუშავების პროცესში;

(CESL) პროგრამის დაფინანსების შემდეგ

3.3.2. მეღვინეობის მიმართულებით სასწავლო პროგრამების და საკვალიფიკაციო კურსების პრაქტიკული კურსი განახორციელოს ღვინის ლაბორატორიის ბაზაზე;

3.3.3. პრაქტიკული კურსის გეგმა-გრაფიკი შეიმუშაოს ღვინის ლაბორატორიასთან თანამშრომლობით;

3.3.4. გეგმა-გრაფიკის შესაბამისად უზრუნველყოს პრაქტიკული კურსზე მსმენელთა დასწრება და აწარმოოს პრაქტიკული კურსის მიმდინარეობის მონიტორინგი;

3.3.5. უზრუნველყოს მსმენელთა დაჯილდოების ყოველწლიური ღონისძიებების ორგანიზება-ჩატარება;

3.3.6. უზრუნველყოს მევენახეობა - მეღვინეობის მიმართულებით ავტორიზებული სასწავლო პროგრამებისა და საკვალიფიკაციო კურსების უწყვეტი ხელმისაწვდომობა;

3.3.7. უზრუნველყოს ყოველწლიური პრაქტიკის ანგარიშების კოალიციის წევრთათვის წარმოდგენა.

4.საერთო ვალდებულებები

4.1. კოალიციის პარტნიორების შეკრება განხორციელდება არაუგვიანეს 2 თვეში ერთხელ. საკითხების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება მოხდება კონსესუსის გზით;

4.2 მხარეები პასუხისმგებელი არიან, მიაწოდონ ერთმანეთს ინფორმაცია არსებული პრობლემის შესახებ, რომელმაც, შესაძლოა, იმოქმედოს ერთობლივი საქმიანობის წინსვლაზე;

4.3. მხარეებმა უნდა გაინაწილონ პასუხისმგებლობა გაწეული მუშაობისა და მიღწეული წარმატებების მონიტორინგსა და შეფასებაზე, პერიოდულად განახორციელონ ერთობლივი საქმიანობის განვითარების მიმოხილვა.

5. დასკვნითი დებულებები:

5.1. საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე, ურთიერთშეთანხმების მემორანდუმში, შესაძლოა, შეტანილ იქნას ცვლილებები და შესწორებები, რაც უნდა განხორციელდეს მასში მონაწილე მხარეთა თანხმობით, ასეთი ცვლილებები ან/და დამატებები გხდება მემორანდუმის განუყოფელი ნაწილი

5.2.მემორანდუმი არ ადგენს მხარეებისთვის ხელშეკრულებით დამახასიათებელი ვალდებულებებს.

5.3. წინამდებარე მემორანდუმი ამოქმედდება ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გაგრძელდება პროექტის დასრულებამდე. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად. თითოეული ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

ხელმომწერი მხარეები

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია	იმერული ღვინის ასოციაცია	კოლეჯი იბერია
კახა ენუქიძე	**ქეთევან ჯურხაძე**	**ირაკლი ავალიანი**
მუნიციპალიტეტის მერი	**აღმასრულებელი დირექტორი**	**აღმასრულებელი დირექტორი**